



# ისტორიაში დარჩება, როგორც კარგი საავტორო ნამუშევრები

## გოჩა ლალიძე მოვიდა მშვიდობიანი მიზნებითა და შემართული ხმლით, რომელსაც შუასაუკუნეების ქართველი რაინდები ატარებდნენ...





**მზეხა მახარაძე**

ათი წლის განმავლობაში წარუმატებლად ეძებდა ნიდერლანდების სამეფოს სამხედრო მუზეუმი ოსტატს, რომელიც ჭედვის ტექნიკის სათანადო ცოდნით იქნებოდა აღჭურვილი და პრინცი მაურიცის 1590 წლის რკინის საბრძოლო საჭურვლის ასლს გამოჭედავდა. ეს შეძლო მხოლოდ ქართველმა მესაჭურვლე გოჩა ლალიძემ, რომელიც, იან პიტ პაიპეს თქმით, ნამდვილი პროფესიონალია. საოცარია ამ ხელოვანის შემოქმედებითი ძალა, ამოუწურავი შესაძლებლობანი, ინტუიცია, ისტორიის, ადამიანის ანატომიის ცოდნა", – ასე გამოეხმაურა ევროპული პრესა გოჩა ლალიძის სენსაციურ წარმატებას ჰოლანდიაში, იქ, სადაც 15 წლის წინ ჩავიდა და „აბჯარასხმული რაინდების სამყაროში" თავისი ხელოვნებით ყველა მოხიბლა.

გოჩა ლალიძემ „თუბალთა ქვეყნიდან" შექმნა ის, რასაც, ალბათ, ვერავინ გაიფიქრებდა... ევროპაში მას კარგად იცნობენ და იციან, რომ პრინცი მორიც ორანელის საომარი აღჭურვილობის, მაქსიმილიანის სამეფო ჯავშნის, შუბოსნების აბჯრების, იან ვან შხაფელაარის საჭურვლის, საბრძოლო იარაღებისა თუ კლასიკური მოოქროვილი მუზარადების საავტოროასლებირკინის მესაიდუმლეს ეკუთვნის. თუ ნახავ, დროში იმოგზაურებ და გაკვირვებული დარჩები...

გუთურ-რენესანსული სტილის ეს საგანძური ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, ბელგიის, ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის პრესტიჟულ მუზეუმებშია გაბნეული და იმ ლეგენდას მოგვითხრობს, რომელშიც გამოგონილი თითქმის არაფერია... აბჯარს ორი საუკუნეა აღარ აკეთებენ, აღარც ატარებენ და, იქნებ, ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ეს იშვიათი, თუმცა საინტერესო ხელოვნება თანამედროვეობის უფრო მისტიკური ART-ია.

გოჩას ფენომენის აღმოჩენა ტექსელის საზღვაო მუზეუმის გამოფენიდან იწყება... აქ მისი ხელოვნების ძალა ექსპერტებმა მაშინ მიიღეს, შეიცნეს და კიდეც დაიჯერეს, როდესაც ნახეს ხევსურული აბჯარი, საბრძოლო აღკაზმულობა – ჯაჭვის პერანგი, ფარი, ხმალი, ხანჯალი, ჩაჩქანი, ჩაფხუტი, სამკლაურები, საფუხრები... „გუდამაყრული ჩაბალახი", რომელიც 56 ათასი პატარა რგოლისგან შედგება და რომელსაც 9 კილოგრამი ფოლადი დასჭირდა, ოსტატმა ორ თვეში მოქსოვა. გაოცებულია მუზეუმის დირექტორი ბენო ვან ტილბურგი, უკვირს ნიდერლანდულ ელიტას...

მერე და მერე ეს ექსპონატი თითქმის მთელი ევროპის მუზეუმებში გამოიფინება, თითქმის მთელ დასავლეთს დააინტერესებს, მანამდე კი გაზეთ Helderse Courant-ში დაიბეჭდება: „ტექსელზე გოჩა ლალიძე მოვიდა მშვიდობიანი მიზნებითა და შემართული ხმლით, რომელსაც შუასაუკუნეების ქართველი რაინდები ატარებდნენ... ეს საბრძოლო კოსტიუმი ასკეტური შრომის შედეგია, იგი წარმოადგენს მთიელ ქართველთა შუასაუკუნეების აბჯრის დღევანდელ ინტერპრეტაციას".

შემდეგ დელფტში, ნიდერლანდების სამეფოს სამხედრო აღჭურვილობის მუზეუმი გოჩას პრინც მორიც ორანელის აბჯრის ზუსტი ასლის შექმნას მიანდობს. ლეგენდარული მხედართმთავრის 1590 წლით დათარიღებული ერთადერთი საჭურვლის ორიგინალი ვენის ხელოვნების მუზეუმის რელიკვიაა. ქრონიკებიდან ვიგებთ, რომ ნასაუს გრაფმა, მორიც ორანელმა საკუთარი აბჯარი თურმე სიცოცხლეშივე უსახსოვრა ავსტრიის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს. გავა თითქმის 400 წელი და... როდესაც ნიდერლანდელები ამ განძის უკან დაბრუნებაზე ვერც კი იოცნებებენ, რკინის მესაიდუმლე ნასაუს გრაფის აბჯრის ასლის გამოჭედვას დაიწყებს...



ეს საავტორო ასლი ჰოლანდიაში სამუდამოდ უნდა დარჩეს! ხდება უპრეცედენტო რამ – გოჩა შლის ერთადერთ ორიგინალს, შლის ექსპერტების თანდასწრებით, თეთრი ხელთათმანებით ეხება, ვიდეოკამერით სწავლობს იკონოგრაფიულ ექსპონატს... მუზეუმის კურატორები მკაცრად აკონტროლებენ ქართველი მესაჭურვლის „ხელის ინტელექტსაც" და დროსაც – 10 დღე სჭირდება ექსპონატის მილიმეტრებში გაზომვას, 400 საათი – მოსამზადებელ სამუშაოებს, 1600 – საჭურვლის შექმნას...

შემდეგ ოცგვერდიან კონტრაქტს დაუდებენ, მოითხოვენ ორიგინალის ზუსტ კოპირებას, მოითხოვენ იმ ეპოქისეულ ესთეტიკას და, რაც მთავარია, უმაღლეს ხარისხს... პროექტი ოთხ დამოუკიდებელ ხელშეკრულებას ითვალისწინებს: პირველი – მუზარადის დამზადებას, მეორე – ყელის, მკერდისა და ზურგის აბჯრების, ხოლო დანარჩენი კი მხრების, მკლავების, ხელთათმანებისა და ფეხის საფარის შექმნას... იწყება გამოჭედვა... ეს ფაქტი უკვე საამაყო მოვლენაა ნიდერლანდების მონარქისა და სამეფო ოჯახისთვის.

გოჩას ჰოლანდიურ სახელოსნოში ექსპერტები ყოველდღე ამოწმებენ ასლის ტესტირებას, „იუნესკოდან", ვენეციის სამხატვრო აკადემიის პროფესორი სამჯერ ესწრება მუშაობის პროცესს... სამუშაო რთულია, იმაზე რთული, ვიდრე წარმოედგინათ, მაგრამ საბოლოო ნამუშევრის მნახველებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ყველა „წამიერად გაიყინა"...

აბჯარი 169 სხვადასხვა ზომისა და სისქის ლითონის ფირფიტისგან შედგება, რომლებიც ჭედვით ერთმანეთზეა მორგებული და ერთმანეთს 600-ამდე დეტალით უკავშირდება. აქ ყოველ ნაწილს ორმაგი გრავირებული ღარი დაჰყვება, მუზარადის კაუჭები, მოქლონები, ქამრის დეტალები მოოქროვილია...

დასავლეთის მუზეუმებისთვის გოჩა აღმოჩენად იქცა, ამბობენ, რომ ევროპაში რესტავრაცია-კონსერვაციის საქმეში კონკურენტი არ ჰყავს, უფრო მეტიც, მას „ლეგენდიდან მოსულ მჭედელს" უწოდებენ...

შემდეგ „იუნესკოსა" და ლუქსემბურგის კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე მის მხატვრულ მინიატურას „მორიცი" საუკეთესო ნამუშევრად აღიარებენ და გრან პრის ანიჭებენ...

თუ ქართველ მესაჭურვლეზე ამბობენ, რომ „მან დაიწყო ნიდერლანდების შუასაუკუნეების ისტორიის გამოტოვებული ფურცლის შევსება", გოჩას ევროპულ ცხოვრებაში კიდევ სხვა ცხოვრება მოვიდა, „წარმატებების ჯაჭვური რეაქციით დატვირთული"...

„ბავშვობიდან მინდოდა ევროპელი რაინდის აღჭურვილობის დამზადება. ოცნება ავისრულე და ეს, ალბათ, ერთ-ერთი ქვეცნობიერი მიზეზი იყო, რატომაც წავედი ჰოლანდიაში...", – იტყვის იგი. ნიდერლანდების სამეფო ის ქვეყანაა, რომელმაც აბჯარასხმული რაინდების ნაკვალევზე გოჩა ლალიძე ოჯახთან ერთად მიიღო. უყვარს იქ ცხოვრება, თუმცა იცის ისიც, რომ ორი სამშობლო არ არსებობს და „გზაში მყოფობის" სიმბოლური თავშესაფრიდან ყველა გზა შინისკენ ბრუნდება საბოლოოდ...

საბოლოო დაბრუნებამდე მის სახელოსნოში, რომელსაც „ვულკანუსის სამჭედლოს" ადარებენ, მეფე ერეკლე II-ის ხმლის საავტორო ასლი მზადდება. როგორც ოსტატი იტყვის, მისთვის „პატარა კახის" ხმალთან შეხება „ძალიან ამაღლებული გრძნობაა, ჩემში წარსულის ფაქიზი განცდა შემოაქვს. ვიცი, რომ ეს ხმალი სასწაულებრივი გამარჯვებების მომსწრეა, ამიტომ მასზე მუშაობა მიადვილებს ყოველდღიურობას – ჩემს სამშობლოსთან მაკავშირებს..."

გოჩა ლალიძე ეროვნულ მუზეუმში უნიკალური ექსპონატების რესტავრაციაზე მუშაობს. იარაღის ფონდიდან ბაგრატიონების სამეფო ოჯახის გორდა ხმლების, „გველისპირულის", უქარქაშო საბრძოლო ხმლებისა და მოოქროვილი დამბაჩის რესტავრაციასთან ერთად „ლეგენდიდან მოსულმა მჭედელმა" მეფე ერეკლეს ხმლის კონსერვაციაც დაასრულა.

**რა ტიპის დაზიანებები ჩანდა მეფე ერეკლეს ხმლის ორიგინალზე?**

ერეკლეს ხმლის პირი და ტარი ჟანგვის პროცესში არ იყო, მაგრამ ის ჭუჭყი, ის კოროზირებული ადგილები სულ გავწმინდე, მერე ვაქსით დავამუშავე, რომ მათზე კოროზია აღარ განვითარდეს. ანუ ის უკვე დაკონსერვებულია. თუ კარგად დავუკვირდებით ხმლის ორიგინალს, ძვლის ტარის ნაზზარებში ხელის ოფლის მწვანე ოქსიდაციას შევამჩნევთ. ეს სრულყოფილად შესრულებული საბრძოლო ხმალია, თუმცა ესთეტიკურადაც ძალიან ლამაზია... რაც შეეხება ხმლის ქარქაშს, ისიც დაზიანებული დამხვდა, აი, როგორ გითხრათ, ტყავი იყო გამომშრალი, აქერცლილი... მერე იმასაც მივხვდი, რომ ქარქაში ადრე ყოფილა რესტავრირებული, მაგრამ ისე იყო გაკეთებული, რომ მიღებული ჰქონდა ცალკე ხარვეზები – ტყავი იყო ჩაკერებული, წვერი არასწორად მორგებული... და, რაც მთავარია, ხმალი ქარქაშში ბოლომდე არ ჩადიოდა. გამოდის, რომ ხმლის რაღაც ნაწილი წლების განმავლობაში გარეთ რჩებოდა.

მოვხსენით ბუნიკი ანუ ქარქაშის წვერი, რომელიც თავიდან დავამუშავეთ. საბოლოოდ, ხის ის ნაწილი, რომელიც ხმლის პირს არ აძლევდა საშუალებას, ქარქაშში ბოლომდე ჩასულიყო, ზედმეტი იყო, მოვაშორეთ; ამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – ერეკლეს ხმალი თავისუფლად ჩადის ქარქაშში და, რაც მთავარია, მთლიანად.



**მაინც რომელი ექსპონატი დაგხვდათ რარიტეტებიდან ყველაზე მძიმე მდომარეობაში?**

ოქროთი დაფერილი დამბაჩა – უნიკალური ნივთი, რომელსაც სულზე მოვუსწარი. ლულა სულ დაჟანგული იყო, ჩახმახი არ მუშაობდა, მექანიკა ჰქონდა მოშლილი... ეს დამბაჩა მთლიანად დაიშალა, გაიწმინდა, ლულა ხელახლა დავფერეთ ლურჯად, ცალკე ჩახმახის რესტავრაცია მოხდა, რის შემდეგაც ისე ფუნქციონირებს, როგორც ორიგინალი...

**ანუ ისვრის?**

დიახ. ეს დამბაჩა იმდენად მაღალი ხარისხის ნაკეთობაა, ვფიქრობ, თავადის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

ძალიან მძიმე დაზიანებები ჰქონდა ხელოვნების მუზეუმის სამ ექსპონატს: ირანულ მუზარადს, ზარდახშასა და ხანჯალს ანუ ქართულად რომ ვთქვათ, სატევარს. ამ ნივთებს სასწრაფო რესტავრაცია-კონსერვაცია დასჭირდათ. წარმოიდგინეთ, ალბათ, ისინი 150 წელია არავის გაუწმენდია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც კარგ მდგომარეობაშია. კონსერვაციის მერე, ამ პირობებშიც კი, დაახლოებით 20 წელი არაფერი მოუვათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუზეუმში არ უნდა გაუმჯობესდეს ტემპერატურული რეჟიმი, ჰაერის ტენიანობა...

**თანამედროვეობაში აქტუალურია მესიჯები, რომლებიც ხშირად იგზავნება ხოლმე მოუწესრიგებელი ფონდ-საცავებიდან – „ექსპონატები შეიძლება გაქრეს!" ექსპონატებს აზიანებს არა მარტო გარემო პირობები, არამედ ხელით შეხებაც...**



აბა, რა... იცით, ფონდებში სამუშაო ბევრია. პროექტში – „კვალიფიციური თანამემამულეების დროებითი ჩამოსვლა II", რომელსაც ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით, დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობ. ის გულისხმობს ჩემი გამოცდილების გაზიარებას მუზეუმის მეიარაღე-რესტავრატორებისთვის, რომ ყველა ექსპონატი, რაც ორიგინალში ინახება, დიდხანს შევინარჩუნოთ...

ყველა ის ექსპონატი, რომელსაც ხელი მოვკიდეთ, ჟანგვაში იყო წასული და ეს ნესტის ბრალია. ყველაზე ცუდად ამ ნივთებზე ტემპერატურის ცვალებადობა მოქმედებს... გიორგი სააკაძის თოფიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, აქ ბევრი სამუშაოა, რასაც დიდი დრო და სხვა ტექნიკური საშუალებები სჭირდება. ეს ექსპონატი მუზეუმისთვის ისევე ღირებულია, როგორც მეფე ერეკლეს ხმალი თავისი ნაკეთობით...

**ცნობილია, ვინ გამოჭედა ერეკლე II-ის ხმალი? რა განასხვავებს მას იმდროინდელი მეომრების იარაღისგან? ალბათ, ორიგინალს აქვს ოსტატის ინიციალები, სიმბოლიკა, ან თუნდაც მოკლე წარწერა?**

ხმლის პირზე არის ოსტატის ოქროს დამღა, მაგიური კვადრატი და დიდი წარწერა. დამღას ასეთი წარწერა აქვს: "შეასრულა კალიბ ალიმ, ასუდოლა ისპაჰანის შვილმა". ირანულ კლასიკურ ხმლებში ეს ძალიან ცნობილი, ამასთან, უიშვიათესი დამღაა, რაც ძალიან ძვირად ფასობს – კლასიკური „შამშირია", რაც „ვეფხვის კლანჭს" ნიშნავს. ეს ხმალი ერეკლეს საჩუქრად გამოუგზავნა ირანის ნადირ-შაჰმა. დიდი წარწერის ბოლომდე გაშიფვრა ვერ მოვახერხე, რამდენიმე ირანოლოგმაც ნახა, თუმცა მიახლოებით ასე იკითხება: „დიდი მეფის გზავნილი მეგობრისადმი".

ერეკლე მეფე საუკეთესო მხედართმთავარი იყო, ბუნებრივია, მან შესანიშნავად იცოდა კარგი იარაღის ფასი – ეს ხმალი არის ირანული ხელოვნების კლასიკური ნიმუში... რა თქმა უნდა, მეფეს თავის კოლექციაში არაერთი ხმალი ექნებოდა, თუმცა ვიცი, რომ ეს ერეკლეს ერთადერთი სპარსული ხმალია, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა.

**როგორ შეისწავლეთ სამეფო ხმლის ორიგინალი, ეროვნული მუზეუმის ფონდიდან ექსპონატის გატანა ხომ აკრძალულია? საერთოდ, როგორ დაიწყეთ მუშაობა?**





ორიგინალს ხელთათმანებით შევეხე, ფოტოები გადავუღე, დეტალურად გავზომე...

ყველაფერი ასე დაიწყო: შარშან იანვარში სტუმრად ვიყავი ეროვნულ მუზეუმში, სრულიად მოულოდნელად მამუკა ქაფიანიძემ მკითხა, – შეგიძლია ერეკლეს ხმლის ზუსტი ასლის შესრულებაო? ბუნებრივია, ასეთი კითხვის შემდეგ სურვილი და ინიციატივა გამიჩნდა, რადგან ამ ხმალს ბავშვობიდან ვიცნობ, ბევრჯერ მაქვს ნანახი, ბავშვობის ოცნებაც გამახსენდა, როცა სულ მინდოდა მისი მსგავსი რამ გამომეჭედა... და დავთანხმდი – შემიძლია-მეთქი. მერე მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის სახელზე დავწერე მოხსენება ორიგინალის შესწავლის ნებართვაზე, მუზეუმის კურატორი მამუკა ქაფიანიძე არნახული ენთუზიაზმით დამიდგა გვერდში...

ამჟამად პროექტი დამთავრებული არ არის, მაქსიმალურად ვცდილობ, ასლი ზუსტი იყოს ორიგინალთან, თუმცა, ისიც ვიცი, რომ ორი ერთნაირი ნივთი არ არსებობს... მილიმეტრების მეათედშია დაცული ხმლის პირისა და ნაწილების ზომები, ახლა ვაკეთებ დეტალების გრავირებას, შემდეგი ეტაპია ოქროთი ზარნიში – დაახლოებით, 35 გრამი ბაჯაღლო სჭირდება.

**ერეკლეს ეს ხმალი, რომელსაც, დამზადების ხარისხით, სამეფო საჭურვლის ღირსება აქვს, საუკეთესო – „ბულატის" ფოლადია. ცნობილია, რომ „ბულატის", იგივე, „ჯავარის" ფოლადის ხმლების დამზადების ხელოვნებას ოსტატები საიდუმლოდ მემკვიდრეობით ინახავენ, ამიტომ, საინტერესოა, რამდენად რთული პროცესია ტექნოლოგიურად სპარსული „ბულატის" გამეორება?**

რთულია, შრომატევადი, მაგრამ შესაძლებელი. „ჯავარის" ფოლადის დამზადება ბავშვობიდან მაინტერესებს, სულ ვსწავლობ მის ხარისხს, უფრო მეტს გეტყვით, აქ მხოლოდ თეორიული ცოდნა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, ასეთი ფოლადის შექმნას თავისი წესი აქვს, ტრადიცია, ტექნოლოგიური სტრუქტურა და გამოცდილება სჭირდება. ბუნებრივია, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი მე ვარ და სამუშაოს ლომის წილი ჩემი შესრულებულია, თუმცა, ჩემი თხოვნით, ხმლის ფოლადი ერთმა ოსტატმა დაამზადა, შემდეგ ჩემს სახელოსნოში დამუშავდა და საბოლოო სახე მიიღო.

ასლის დასრულების შემდეგ რა იქნება? ამ ექსპონატზე საავტორო უფლება ოფიციალურად აქვს როგორც მის შემსრულებელს, ასევე, ეროვნულ მუზეუმს...

**და კიდევ, რა სამუზეუმო სტატუსი, მნიშვნელობა და დანიშნულება ექნება მეფე ერეკლეს ხმლის საავტორო ასლს?**

ისტორიაში დარჩება, როგორც კარგი საავტორო ნამუშევარი. მუზეუმი თუ შეისყიდის ამ ასლს და საბოლოოდ იარაღის ფონდში დარჩება, გამეხარდება, თუმცა, მუზეუმს ორიგინალი აქვს და შეიძლება, არ დაინტერესდეს, რადგან საკმაოდ სოლიდურ თანხებზე იქნება საუბარი.

**შეიძლება, რომ ეს საავტორო ასლი ევროპის რომელიმე სამხედრო მუზეუმმა შეიძინოს?**

რატომაც არა?! როგორც საავტორო ნაკეთობა და როგორც ქართული ისტორიის ნაწილი, მაგრამ მუშაობას რომ დავამთავრებ, პირველი ეროვნული მუზეუმი გაიგებს.

**ეროვნული მუზეუმი ამ ძვირადღირებულ პროექტს არ აფინანსებს, საინტერესოა, რომელი საინვესტიციო ფონდებიდან მოიძიეთ თანხები?**

თანხა პირადად ჩემია...

**რამხელაა პროექტის ბიუჯეტი?**

დაახლოებით 9000 ევრო, შეიძლება, მეტიც... რატომ დაჯდა ამდენი? ეს მხოლოდ მასალების ხარჯია, ამას უნდა დაემატოს ჩემი ხელობის თანხა და ცალკე კიდევ მესამე პირთა სამსახური: ოქროს ზარნიში, გრავირება... მუშაობა ჩემი მკაცრი სელექციის ქვეშ მიდის, დამიჯერეთ, ყველა გამოყენებული მასალა უმაღლესი ხარისხისაა. ეს ძალიან კომპლექსური პროექტია, ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ შემიძლია თამამად გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ. ვიცი, რომ მუზეუმს მოეწონება.

ამ პროექტმა უდიდესი პასუხისმგებლობა დამაკისრა და ჩემში სიამაყის გრძნობაც გააჩინა. ერთმა ფრანგმა ოსტატმა ამას წინათ 5000 ევრო შემომთავაზა მარტო ხმლის პირში ანუ „ბულატის" ფოლადში. ცივი უარი ვუთხარი. მან არც კი იცოდა ამ ხმლის ისტორია, მარტო ხელობა შეაფასა, ხომ გესმით?..

საბრძოლო აღკაზმულობა – ხმლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები – კულტურული ფასეულობაა, როგორ გითხრათ... აი, ხევსურული საბრძოლო აღჭურვილობა – ეს არის ჩვენი ეროვნული იარაღი, რომელმაც გადაგვარჩინა. მე მხვდა წილად, პირველი ვყოფილიყავი ხევსურული ჯაჭვის პერანგის – „გუდამაყრული ჩაბალახის" აღდგენაში. ეს შემდეგ შეაფასა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, როგორც ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი მოვლენა.

ერეკლეს სამეფო ხმლის ასლი საქართველოში აქტუალურია, ბუნებრივია, მას ევროპაშიც ვაჩვენებ, იქ ქართული საბრძოლო იარაღის პრეზენტაციაზე მუდმივად ვბრუნავ და, რა თქმა უნდა, ახლაც ვიბრუნებ.

*გოჩა ლალიძემ „თუბალთა ქვეყნიდან" შექმნა ის, რასაც, ალბათ, ვერავინ გაიფიქრებდა... ევროპაში მას კარგად იცნობენ და იციან, რომ პრინცი მორიც ორანელის საომარი აღჭურვილობის, მაქსიმილიანის სამეფო ჯავშნის, შუბოსნების აბჯრების, იან ვან შხაფელაარის საჭურვლის, საბრძოლო იარაღებისა თუ კლასიკური მოოქროვილი მუზარადების საავტორო ასლები რკინის მესაიდუმლეს ეკუთვნის. თუ ნახავ, დროში იმოგზაურებ და გაკვირვებული დარჩები...*